საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება № 01-02/119

ქ. ბათუმი 22 ივლისი, 2021წ.

ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა სამაგისტრო ნაშრომების საჯარო დაცვასთან დაკავშირებით კომისიის შექმნის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 22–ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–13 მუხლის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“, „ბსუ-ში ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესის დამტკიცებისა და 2020-2021 სასწავლო წლის ზოგიერთი საორგანიზაციო ღონისძიების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 01 ოქტომბრის №01-02/130 ბრძანების, „2019-2020 წლის გაზაფხულის სემესტრში საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების წარდგენისა და საჯარო დაცვის ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 29 მაისის №01-02/52 ბრძანებისა და ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის მოადგილის 2021 წლის 19 ივლისის N722949 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა მიერ 2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ბოლოსათვის სამაგისტრო ნაშრომების საჯარო დაცვის პროცესის ჩატარების მიზნით შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:

„საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ სამაგისტრო პროგრამაზე

ა. ასისტენტ-პროფესორი ლელა ბერიძე - კომისიის თავმჯდომარე;
ბ. ასისტენტ-პროფესორი ნაირა კობალაძე - კომისიის წევრი;
გ. მოწვეული მასწავლებელი, მედიცინის დოქტორი გიორგი ნიკოლაიშვილი - კომისიის წევრი;
დ. მოწვეული მასწავლებელი, მედიცინის დოქტორი მერაბ ფუტკარაძე - კომისიის წევრი;
ე. ასისტენტ-პროფესორი ეთერი ჯაყელი - კომისიის მდივანი.

2. კომისიამ იხელმძღვანელოს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“, „ბსუ-ში ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესის დამტკიცებისა და 2020-2021 სასწავლო წლის ზოგიერთი საორგანიზაციო ღონისძიების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 01 ოქტომბრის №01-02/130 ბრძანებით და „2019-2020 წლის გაზაფხულის სემესტრში საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების წარდგენისა და საჯარო დაცვის ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 29 მაისის №01-02/52 ბრძანებით.

3. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ფაკულტეტს (ფაკულტეტის დეკანს, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, დარგობრივი დეპარტამენტების ხელმძღვანელსა) და კომისიის წევრებს.

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**